



უსაფრთხო ონლაინი: ქალთა გაძლიერება  
ციფრულ ეკონომიკაში

საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა:  
საინფორმაციო და საკომუნიკაციო  
ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი  
გენდერული ძალადობის თაობაზე

მომზადებულია გიორგი გოგიბერიძის მიერ



წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ქალთა მიმართ და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებული აქტების ანალიზი ტექნოლოგიებიზე დაფუძნებული ძალადობის კონტექსტის გათვალისწინებით. შემუშავებულია მიგნებები ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ძალადობის კუთხით საკანონმდებლო სივრცის დახვეწისა განვითარების კუთხით

საქართველოს  
კანონმდებლობის მიმოხილვა:  
საინფორმაციო და  
საკომუნიკაციო  
ტექნოლოგიების გამოყენებით  
ჩადენილი გენდერული  
ძალადობის თაობაზე

მომზადებულია გიორგი გოგიბერიძის მიერ, მერსი ქორფსის პროგრამის “უსაფრთხო ონლაინ-ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში” ფარგლებში

2024 წელი, მარტი,  
თბილისი,

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ციფრული, საინფორმაციო თუ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვისა და განვითარების პირობებში ეს საშუალებები სულ უფრო ხშირად ხდება სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენის ინსტრუმენტები. მათ შორის აღნიშნული საშუალებები ხშირად გამოიყენება გენდერული სახის ძალადობის ჩასადენად. მსგავსი სახის ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა კი ადექვატური საკანონმდებლო ბაზის არსებობას საჭიროებს.

საქართველომ ბოლო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები მიიღო ქალთა მიმართ და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. ქვეყანაში ეტაპობრივად იქნა მიღებული ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ერთის მხრივ განსაზღვრავს ქალთა მიმართ ძალადობის ფორმებს, მათ მახასიათებლებს, ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მსგავსი ქმედების ჩადენისათვის, ადგენს პრევენციის მექანიზმებს და განსაზღვრავს ძალადობის შედეგად დაზარალებული პირების დაცვისა და დახმარების მექანიზმებს. კერძოდ, საქართველოში 2006 წლიდან მოქმედებს სპეციალური კანონი **„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“**, ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის აღკვეთის, მასზე რეაგირებისა და პრევენციის თვალსაზრისით არაერთი ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოს 30-ზე მეტ კანონში. საქართველომ 2017 წელს განახორციელა **„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“** ევროსაბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის (სტამბულის კონვენცია) რატიფიცირება და შიდა კანონმდებლობაში ასახა ის მექანიზმები, რაც აღნიშნული კონვენციით იყო გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ სწორედ სტამბულის კონვენციის რატიფიცირებასთან დაკავშირებით ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და კრიმინალიზებული იქნა გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული ისეთი ქმედებები, როგორცაა **ოჯახში ძალადობა (მუხლი 126<sup>1</sup>)**, **სტერილიზაცია თანხმობის გარეშე (მუხლი 133<sup>1</sup>)**; **ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება (მუხლი 133<sup>2</sup>)**; **ქორწინების იძულება (მუხლი 150<sup>1</sup>)**; **ადევნება (მუხლი 151<sup>1</sup>)** და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სტამბულის კონვენციის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენა გენდერის, გენდერული იდენტობის, სქესის ნიშნით, ასევე ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განიხილება **სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად**.

## საქართველოს საკანონმდებლო სივრცის მიმოხილვა

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, განსაზღვრულია ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკანონმდებლო დეფინიციები, მათ მახასიათებლები და ძალადობის ფორმები. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მიხედვით ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. ხოლო ამავე კანონის 3<sup>1</sup> მუხლის მიხედვით - ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა. ნიშანდობლივია, რომ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროსაბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით - გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე, ხოლო ამავე კონვენციის მიხედვით, გენდერული გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მთელ რიგ დანაშაულებს, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ და შეიცავს სხვადასხვა სახის ძალადობის (მათ შორის გენდერული ძალადობის) მახასიათებლებს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის - მუხლი 144<sup>3</sup> (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა), მუხლი 150 (იძულება), მუხლი 151 (მუქარა), მუხლი 151<sup>1</sup> (ადევნება), მუხლი 157 (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა), მუხლი 157<sup>1</sup> (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა), მუხლი 158 (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა), მუხლი 159 (პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა) და სხვა. ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნული დანაშაულები მათ შორის შესაძლებელია ჩადენილი იქნეს ასევე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით.

ამასთან, ზემოაღნიშნული რიგი დანაშაულების არსებული შემადგენლობა შეიცავს ჩანაწერს ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით მსგავსი დანაშაულის ჩადენის თაობაზე ან ტექნოლოგიურ საშუალებებს განიხილავს მსგავსი დანაშაულის ჩადენის მაკვალიფიცირებელი ან დამამძიმებელი გარემოებად. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - **ადევნების** შემადგენლობა მოიცავს რომ მსგავსი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია განხორციელდეს „ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყენებით“, კერძოდ, აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით, ადევნება გულისხმობს - პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალს, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარებას ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედებას, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის წესით დასჯადია - **პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა**, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის წესით დასჯადად მიიჩნევა - პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ იგივე ქმედება ჩადენილი იქნება - ამა თუ იმ ხერხით გავრცელებული ნაწარმოების, ინტერნეტის, მათ შორის, სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის მეშვეობით, პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მძიმდება.

ანალოგიური ნორმები გვხვდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **157<sup>1</sup> მუხლთან (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა)** დაკავშირებით, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით სისხლის სამართლის წესით დასჯადია - პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ იგივე ქმედება განხორციელდება - ამა თუ იმ ხერხით გავრცელებული ნაწარმოების, ინტერნეტის, მათ შორის, სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის მეშვეობით, პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მძიმდება.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლს - კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა, აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა არსებითად ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია იქნეს ჩადენილი. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევად მიიჩნევა - კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვება ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ შენახვა“, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის წესით დასჯადად მიიჩნევა - კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა.

ანალოგიურად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლი (პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა) სისხლის სამართლის წესით დასჯადად მიიჩნევა - პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევას, კერძოდ, პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ჩანაწერის ან ტელეგრაფით, კომპიუტერული სისტემით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების უკანონოდ მოპოვებას, გახსნას, შინაარსის გაცნობას ან შენახვას, ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, სისხლის სამართლის წესით დასჯადია - პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ჩანაწერის ან ტელეგრაფით, კომპიუტერული სისტემით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების უკანონოდ გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მუქარა), შემადგენლობა არ იხსენიებს მსგავსი დანაშაულის შემადგენლობაში ტექნოლოგიურ საშუალებებს (თუმცა ბუნებრივია მსგავსი დანაშაულებრივი ქმედება შესაძლებელია ჩადენილი იქნეს ტექნოლოგიურ საშუალებებს გამოყენებით) და არც მსგავსი საშუალებების გამოყენებას განიხილავს დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ან დამამძიმებელ გარემოებად. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მიხედვით მუქარად მიიჩნევა - სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების

საფუძვლიანი შიში. ბუნებრივია მუქარა არა მხოლოდ უშუალო ვერბალური ფორმით შეიძლება იყოს განხორციელებული, არამედ ტექნოლოგიური თუ საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გენდერული ძალადობის ისეთი სახისათვის - როგორცაა **სექსუალური შევიწროება (მუხლი 166<sup>1</sup>)**. თუმცა სამართალდარღვევის შინაარსში არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, როდესაც მსგავსი ქმედება შესაძლებელია ჩადენილი იქნეს მათ შორის ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის - 166<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, **სექსუალური შევიწროება** გულისხმობს - საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს. ნიშანდობლივია, რომ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროსაბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის (სტამბულის კონვენცია) 40-ე მუხლის მიხედვით, სექსუალური შევიწროება გულისხმობს „სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი სიტყვიერ, არასიტყვიერ ან ფიზიკური ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, კერძოდ, მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული გარემოს შექმნას.“

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს მნიშვნელოვან დებულებებს ტექნოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. კერძოდ, მიღებულია და მოქმედებს საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულია და მოქმედებს „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა“ (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის №482 დადგენილება). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ისეთი კიბერდანაშაულების დასჯადობას, როგორცაა - კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა (მუხლი 284); კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება (მუხლი 285); კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა (მუხლი 286); ყალბი ოფიციალური კომპიუტერული მონაცემის შექმნა (მუხლი 286<sup>2</sup>) და სხვა.

## მიგნებები/რეკომენდაციები

ციფრული, საინფორმაციო თუ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში, ასევე იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მსგავსი საშუალებების გამოყენება რიგ შემთხვევაში ამარტივებს ცალკეული (მათ შორის გენდერული ხასიათის) დანაშაულების (მაგალითად, მუქარა, იძულება და სხვა) ჩადენას და მომეტებულ საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებების დაცვას, მნიშვნელოვანია მოხდეს მსგავსი საშუალებების სისტემური საკანონმდებლო იდენტიფიცირება, მათი მახასიათებლების, შინაარსისა და გამოვლენის ფორმების განსაზღვრა, ასევე მათი სხვადასხვა სახის დანაშაულთან თუ სამართალდარღვევასთან (მათ შორის, გენდერული ხასიათის ძალადობასთან) ურთიერთმიმართების განსაზღვრა.

ამასთან, განსაზღვრული მახასიათებლების გათვალისწინებით განხორციელდეს ცალკეული დანაშაულისა, თუ სამართალდარღვევის შინაარსის კორექტირება და ციფრული, საინფორმაციო თუ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება აისახოს აღნიშნული დანაშაულების მახასიათებლებში (შემადგენლობაში).

ტექნოლოგიური ძალადობის სისტემური მახასიათებლების განსაზღვრის გათვალისწინებით „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატოს ნორმები, რომლის მიხედვით, დაზუსტდება ტექნოლოგიური ძალადობის მახასიათებლები ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის საკანონმდებლო რეგულაციებში, ასევე ტექნოლოგიური ძალადობის ნიშნები დაემატება კანონში უკვე არსებულ ძალადობის ცალკეული ფორმის მახასიათებლებს და შესაბამისად, განისაზღვრება აღნიშნული ქმედების ჩადენა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, მაგალითად, ისეთი ძალადობის ფორმისას, როგორცაა ფსიქოლოგიური ძალადობა, იძულება და სხვა.

ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით გენდერული ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რიგი მუხლების შემადგენლობაში, მიზანშეწონილია ასახული იქნეს ტექნოლოგიური ძალადობის ფორმები და დაკონკრეტდეს, რომ მსგავსი დანაშაულებრივი ქმედება შესაძლებელია ჩადენილი იქნეს ტექნოლოგიური



საშუალებების გამოყენებით. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლი (ოჯახში ძალადობა), მუხლი 144<sup>3</sup> (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა), მუხლი 151 (მუქარა) და სხვა. ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რიგ მუხლებში - დაემატოს ნორმები, რომლის მიხედვით, ძალადობის ჩადენა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით განიხილება მსგავსი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ და პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

ანალოგიურად, მიზანშეწონილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში აისახოს ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენა და მაგალითად, სექსუალურ შევიწროებასთან (მუხლი 166<sup>1</sup>) დაკავშირებულ დებულებებს დაემატოს ნორმა, რომლის მიხედვით, სექსუალური შევიწროების მახასიათებლად ასევე განიხილება მსგავსი ქმედების ჩადენა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით.